სახალხო გაზეთი

№ 363 ხუთშაბათი, 28 ივლისი, 1911 წ. წელიწადი მეორე. № 363

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 30 კაპ., ულანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან ერთ ხაზის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი 30 კაპ., ულანასკნელზე—10 კაპ. ხანგრძლივი განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ ხაღამდე 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „ხალხის“-ში, მადათოვის ულანასკნელზე და ეღირება 4 მანეთი.

ანცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც ერთ-ერთ ანგარიშზე ერიცხებიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ—ების განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში ბოლკოვნიკოვის ქ., ხ. სტოვეისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—ბორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: სახალხის ქ., დ. ნ. ბარაჯიშვილის სახლი, მისალამი ეზოდან.

ფოსტის ადრესი: წერილებისთვის და ფულისთვის Тифлисъ, газ. „Сахалхо Газета“ п. ящ. 190.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

მოვაგონებთ ჩვენს ხელის-მოწერთ რომ ყოველ თვის ამ დღეებიდან გაზეთის გზავნა ესპობათ ყველას ვისაც ხვედრი ფული არა აქვს შემოტანილი.

დ. ყვირილაში

„ხორაპნის“ სტამბასა და წიგნის მაღაზიაში მიიღება ხელის მოწერა

„სახალხო გაზეთზე“

აქვე მიიღება ყოველგვარი განცხადება ამ გაზეთში დასაბეჭდად.

„სახალხო გაზეთი“-ს ხელის მოწერთა საყურადღებოთ:

მოვაგონებთ ჩვენ ხელის მოწერთ, რომ ყოველ თვის დამდებიდან, ვისაც ხვედრი ფული იმ დროისთვის არა აქვთ წარმოდგენილი—გაზეთი აღარ გაეგზავნებათ.

გაზეთის ფასი დამატებიანათ ტფილისში და მის გარეთ აღნიშნულია პირველ სტრიქონზე და საზღვარ გარეთისა—მეორე სტრიქონზე:

წლ.	11 თვ.	10 თვ.	9 თვ.	8 თვ.	7 თვ.	6 თვ.	5 თვ.	4 თვ.	3 თვ.	2 თვ.	1 თვ.
8. 50.	8. —	7. 50.	6. 90.	6. 20.	5. 50.	4. 80.	4. —	3. 20.	2. 40.	1. 60.	— 80.
12. 8.	11. —	10. —	9. —	8. —	7. —	6. —	5. —	4. 50.	3. 50.	2. 50.	1. 25.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

წლიურ ხელის მომწერს გაზეთის ფასი შეუძლიან გადაიხადოს ნაწილ-ნაწილადაც: ხელის მოწერის დროს 3 მან., 1 მარტისთვის 2 მან. 1 მაისისთვის 2 მან. და 1 ივლისისთვის 1 მან. 50

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან და არა ნაკლებ ერთი თვისა.

ხუთშაბათს, 28 ივლისს, დიდების ღვთის-მშობლის ეკლესიაში გარდახდილ იქმნება ორმოცის დღის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის

დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებს ნათესავებს, მეგობრებსა და ნაცნობთ **ეკატერინე ივანეს ასული სარაჯიშვილისა.** წირვის დასაწყისი 9½ საათზე, პანაშვიდისა—დილის 11 საათზე.

(2—1415—2)

მეუღლე თამარა, შვილები თაყა და მარიამ გერსამიები, ძმები: ნოშრევან, პაველ, იასონ, კლიმენტი, ერმილე და დები მარიამ და ანეტა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უდროოდ დაკარგვას ძვირფასი

გიორგი გერსამიასი

გამოსვენება ხუთშაბათს, 28 ივლისს, დილის 9 საათზე საკუთარი სახლიდან მალაკნის ქუჩა № 26 ქვაშვეთის ეკლესიაში წირვა და პანაშვიდი. დაკრძალვა კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე. (3—741—3)

მარკოზ ივანეს ძე კალანდაძე, ელისაბედ კალანდაძისა, ეგე, კატო, ოლგა, იაგორ და **სევერიანე კალანდაძეები** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა, ნაცნობთ და ამხანაგებს, რომ სარატოვის საკატორლო ციხეში უდროოდ გარდაიცვალა პირველის და მეორის—შვილი, დანარჩენების—ძვირფასი ძმა

ივანე მარკოზის ძე კალანდაძე.

განსვენებულის სულის მოსახსენებლად წირვა და პანაშვიდი დანიშნულია შაბათს ივლისის 30-ს, დილის 10-ს საათზე, სოფ. ერკეთის (გურია) მთავარ-ანგელოზის ეკლესიაში. (1—745—1)

ტფილისის კერძო სამკურნალო

გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება

მოწყობილია 50 საწოლით.

კანსულტაციები სამშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, ვეტცელის“ სასტუმროსთან.

ტელეფონი № 509.

სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველ თვის შეიძლება დღე და ღამეც. საამბულატორო ავადმყოფებს შეიღებენ ხელოვნალისტი ექიმები:

გედევანიშვილი მ. ა. ნერვ. და ელექ., რშ., და პარ. 10½—11 ს.

დავითაია რ. ხ.—შინაგ. და ნერვგბ. ყოველ დღე 1—2 ს.

ბალბაშვილი გ. ვ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ხ. შინაგანი. ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი ვ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და პარასკ. 2—3 ს.

მუხხელიშვილი ვ. ხ.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½ საათ.,

დროებით წასულია.

მაზარეულოვი მ. ი.—კანისა და ვენერ. ყოველ დღე, კვირის გარდა, 1—1½ ს.

ფილიმონიშვილი ნ. ნ.—ქირურგ. ოპერაციები. ოტოლარინგოლოგიური ავადმყ. 9 ნახ.—10 ს.

ბ. ნ. დიახამიძე—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—12 ს.

ბ. ა. ბოტოვი—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. ყელი, ყური და ცხვ. სნეულ. 11—11½.

ვ. ს. ხატანიშვილი—ყოველ დღე, კვირის გარდა. შინაგანი ავად. 11½—12 ს.

შ. ა. მიქელაძე—შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1—2 ს.

ნ. ნ. მელიქიშვილი — ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

გ. ვ. ხოზოლიევსკი—ქირურგ., ყოველ დღე, კვირის გარდა. 2—3 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; ავრეთვე ყველა ვირუსი აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მოსაგებით

ნამლოგა „606“-ით.

(წლ.—1090—120)

სურამში

კბილის ექიმი

ნინო რცხილაძე

მიიღებს კბილით ავადმყოფებს. გ. ლომსაძის აგარაკი.

ნაფიცი ექიმი

გ. ზ. ჩაჩიბაია

დაბინავდა ნოვომბებუთოვის ქუჩაზე, № 3. (6—726—5)

ექიმი **შ. ა. მიქელაძე** იღებს შინაგან და ბავშვთა ნერვულებიანი ავადმყოფთ ყოველ დღე ხაღამდე 5 ნახ.—6 ნახ. ხაათამდე.

ელექტრონისა და რენტგენის ს ა ვ ა კ უ რ ნ ა ლ ო

მიხეილ გადევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილ. 12—1 ს., საღ. 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის ხსივებით. ვერა, ყორდანოვის ქ., N 20. (წ.—1249—71)

ექიმი **ვ. მუსხელიშვილი** ხამშაბათიდან, 21 ივნისიდან, ქალაქ გარეთ წავიდა და ამის გამო ავადმყოფებს ხმარებამდე არ მიიღებს.

ექიმი **ე. ვ ა შ ა კ ი ძ ე** იღებს შინაგან ნნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბაქიხ ქუჩა N 12. 6—108

ტელეფ. 795. **ახალი კლუბი** ტელეფ. 795.

(თ. აზნაურობის საზაფხულო ბაღი და თეატრი).

ხუთშაბათს, 28 ივლისს, 1911 წ.

საგანგებო საღამო

სინემატოგრაფით ივანიცკაიას ფირმისა.

დასაწყისი ხალ. 6 ხაათზე.

წევრთა ბავშვებისათვის შესვლა ბაღში და იმათთვისაც, ვისაც სეზონის ბილეთები აქვს, უფასოა.

სტუმრები გადაიხდიან: კაც. 50 კ., ქალ. და სტუდ. 25 კ., ბავშვები 10 კ.

სადამოს შემდეგ ლოტო.

ანონსი: პარასკევს, 29 ივლისს, **იაფი ლოტო.** (1—1394—1)

ამ მოკლე ხანში დაიბეჭდება და ცალკე წიგნად გაძოვა

გ. ახოლსპირელის

დრამატიული ზოგმა

ოვენეგა და სიყვარული

გამოცემა **მიხაკო ლალიძისა.** (10—1403—5).

საბურთალოზე **მშვენიერ ალაგას,** ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის ომავალ ხიდის მახლობლად დაიკრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაკრებად ოთხ-კუთხ საკენი 80 კ.-დან. მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათზე, საღამოს 5 საათიდან 8 საათამდინ. (წ.—1147—101)

ფოთის ქალაგის გიმნაზია

მომავალს სამოსწავლო წელს გიმნაზიის მერვე კლასში იქნება მხოლოდ

რუსული ენის განოთოვილება.

თავისუფალ ადგილებზე თხოვნის მიღება შეიძლება 20 აგვისტომდე.

(2—1398—2)

სამკურნალო

სპეციალიზტ სამშვიდრო ექიმებისა გარედან მოზიარულე ავადმყოფთათვის ანძის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 483.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ვადმყოფთა მიდება 9½-დან 5 ს.-დე.

ი. მ. ახვლედიანი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე 1—2 საათამდე.

ვნუკოვი—ქირურგ. ყოველ-დღე 12—1 ს.

მოსნე—ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ყოველ დღე, გარდა კვირა უქმისა 1½—3 საათ.

კალამკარიანი—ქალის ავად. ყოველ დღე, გარდა ხუთშაბათისა, 12—1 ს.

უკლანდნიკოვი—შინაგ. ავად. ყოველ-დღე 4—5 საათ.

რიდელი—შინაგ. ავად. და ბავშვ. ყოველ დღე, გარდა ხუთშ. და კვირისა 12—1 საათ.

თეთრაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველ-ღე 1—3 საათ.

ჩუდნოვსკი ი. ნერვ., სულ., ელექტრო-ტერაპია, ყოველ დღე გარდა კვირა-უქმისა 11½—12½ საათ.

რუდენკო—შინაგ. ხუთშაბ. და კვირაობით 3—4 ს.

ვეხელოვიზორეკი ნ. ნ.—ქირურგ. ავად. ყოველ დღე 2—3 საათ.

ოხოელიანისა—ქალ. ავად., ორშაბ., ოთხშ., პარასკ., კვირა 11—12 საათ.

ყალამკარიანი—ნერ., ელექტრო-ტერაპ., ოველდღე 2—3 საათ.

კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606“-სს

საღამოს 6—7 საათამდე.

კონსულტაცია, მასსაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსნარის შრატით. შარდის სადენთა ცისტოსკოპია და კატეტერიზაცია. (წ.—1248—75)

ექიმი ჰ. არდაზიანი

შინაგანი და ბავშვების სნეულება, დილის 8—11 საათამდე საღამოს 5—7 საათამდე., კვირაობით დილის 9—12 ს.-მდე. ალექსანდრეს ქ. № 3. (თ.—1389—11)

ექიმი **ა. ნ. დ ი ა ხ ა მ ი ძ ე** კანიხა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—3 ს. ხაღამ. 6—7 ს. ბუთმაბათოვით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავად. მყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4 ხახლი გაბაშვილიხა. (ფ)

ქუთაისში

ექიმი გ. ი. ჩხარკელი

შინაგან, საბავშვო და საბებიო სნეულებათა. იღებს დილ. 8—12, საღ. 6—8 ს. ორპირის ქ., გიორგ. იოსელიანის სახლი. (თ.-1321—37)

ა ბ ა ს თ უ მ ა ნ შ ი

კბილის ექიმი

ალ. სოლოღაშვილი

იღებს ავადმყოფებს. „დაჩა“ ტერმარქაროვისა. (თ.—1333—36)

გამოვიდა და იყიდება

ქ. მ. წ.-გ. გ. ხაზ. წიგნის მაღაზიაში, ხოხიკო მერკვილაძესთან, ნაქართველოს ყველა ქალაქებისა და დაბების წიგნის მაღაზიებში და აგრეთვე სადგურებზედაც

ალ. თუთაევის

ახალი თხზულება:

„მ ე ო რ ე კ ა ე ნ ი“,

დრამა ხამ მოქმ.

და ეპილოგი. ფასი 30 კ. იქვე იყიდება ამავე ავტორის შემდეგი ბიესები:

„ცოლი ვიტირო, თუ ფული“, ფასი 15 კაპ.

„უმარილის ბრალია“, ფასი 10 კ.

„ბედმა მილალატა“, ფასი 20 კ.

„უშნო არშიყი“, და ვოდევილი **„სოფიო“** 20 კ. ყველა ბიესები ნაბეჭდარ-ებულია წარმოსადგენად. (15.1397.3)

ტფილისი, 28 ივლისი

ალბანეთის კრიზისის გათავება. ჩერნოგორიის მეფე ნიკოლოზმა ოსმალეთის სულთანს მისალოცი დეპეშა გაუგზავნა: მიულოცა ალბანეთის **აჯანყების** „მშვიდობიანად გათავება“ და ჩერნოგორია-ოსმალეთის მეგობრობის დამკვიდრება“.

ამას ამოიკითხავდა გუშინ მკითხველი დეპეშებიდან. იმასაც გაიგებდა, რომ მალისორები ათასობით ბრუნდებიან სამშობლოში, მაგრამ ვიკითხოთ, რასა ჰნიშნავს „აჯანყების მშვიდობიანად გათავება?“ სხვანაირად რომ ვსთქვათ, ეს დეპეშა, ასე გამოვა: ჩერნოგორიის მეფე სულთანს **აჯანყებულთა** დამარცხებას ულოცავს, რადგანაც ის, რაც ალბანელებმა მიიღეს, გამარჯვებას არ მოასწავებს. თუ მკითხავთ, ეს მოწყალებაა, ეს ძვალია, რომელსაც შიერს გადაუგდებენ ხოლმე.

ამრიგად დასრულდა თანამედროვე ცხოვრების ერთი დიდი ტრაგედიის ერთი ეპიზოდი. ეს ტრაგედია ეროვნული ბრძოლაა, რომელიც მუდამ არსებობს, მაგრამ სხვა და სხვა სახით. ერთი ამ სახეთაგან შეიარაღებული **აჯანყებაა.** ამ შემთხვევაში ეს ბრძოლა დამარცხებით გათავდა. რა იყო მიზეზი? რატომ თავი ვერ გაიტანეს ალბანელებმა? რად გაჩუმდნენ ევროპიელი სახელმწიფონი? რუსეთი, იტალია, ავსტრია,—ხომ ყველა ერთხმად ჩაერია საქმეში და ერთი პირობა მხარიც კი დაუკირა ალბანელებს? მაშ რატომ ბოლომდის არ მიჰყვნენ და ქვეყანას არ აჩვენეს თავისი ჰუმანური გრძნობები? ეს საკითხი მარტო ალბანეთს არ ეხება. ეს მთელი თანამედროვე ცხოვრების საკითხია.

იმ დროს, როდესაც დიდი სახელმწიფონი ეკონომიურ ცხოვრების პოლიტიკას ეწევიან, როდესაც ამ სახელმწიფოთა ბურჟუაზია მთელი ქვეყნის ქონებას გაუმ.ძღრადა ნთქავს, ამავე დროს ანადგურებს წვრილ ერებსაც. ეს ერები მხოლოდ ერთი მეტი წყაროა შემოსავლისა, აქ რასაკვირველია, ჰუმანიურ გრძნობებზე ლაპარაკი უადგილოა. თუ ამასა ლაპარაკობენ, მხოლოდ იმისთვის, რომ ნილაბი აიფარონ. ახლანდელ სახელმწიფოთა სათავეში ბურჟუაზია სდგას და სახელმწიფონი ისე იქცევიან, როგორც ბურჟუაზიისათვის არის ხელ-საყრელი. ალბანეთის საქმეში სახელმწიფონი იმიტომ ჩაერივნენ, რომ, როგორც ნათქვამი გვქონდა, ბალკანეთზე თანაბრობა არ დარღვეულიყო, რომ იქ ვისმეს სხვაზე მეტი არაფერი შეეძინა. მარტო იტალია რომ ჩარ ეულიყო საქმეში, მას ბევრი რამ დარჩებოდა, ამიტომ ალბანეთის საქმეებში ავსტრიაც ჩაერია, რათა იტალიას არაფერი რგებოდა, ხოლო ამას რუსეთი ვერ მოითმენდა, რადგანაც ეს მის პრესტიჟს დაამცირებდა და ამანაც ამოიღო ხმა. ტყუილი იყო ის ლაპარაკი, ვითომც სახელმწიფონი მშვიდობიანობის დარღვევას ერიდებოდნენ, ვითომც კაცთ-მოყვარეობა და ალბანელთადმი თანაგრძნობა ალაპარაკებდათ. საჭირო იყო, რომ ბალკანეთზე არავის არაფერი შეეძინა და ერთმანეთს კრიჭაში ჩაუდგნენ. როცა ეს უზრუნველ ჭყვეს, გაჩუმდნენ და ალბანელების საქმე ალბანელებსვე მიანდეს. სახელ-განთქმული ჰუმანობა, კაცთ მოყვარეობა, გულკეთილობა, გაჭრა. მხოლოდ თავის თავის იმედით დარჩენილი ალბანელები ოტომანის დიდ სახელმწიფოს, რასაკვირველია, ვერ გაუძლებდნენ, დიდი და დიდიხნის ბრძოლა დასჭიდებოდათ, ხოლო ეს კი **აჯანყებულ** მცირე ერისათვის ძნელია, ვერც ალბანელებს შეეძლოთ ამ ბრძოლის გაწევა და ამიტომ დამორჩილება და იმ ნამცეცების მიღება ირჩიეს, რაც ოსმალეთის მთავრობამ გადაუყარა. კარგად ჰხედავდნენ ალბანელები, რომ თუ **ჯიუტობას** გასწევდნენ, ცოტასაც დაჰკარგავდნენ, რადგანაც ბოლოს და ბოლოს ისე დასუსტდებოდნენ, რომ ოსმალები მათ ერთი დაკვრით მოსპობდნენ. ესეც არ იყოს, რომ მარტოთ გაემარჯვნათ კიდეც და თავიანთი სურვილი მთლიანად განეხორციელებინათ, ვინ იცის უცხო სახელმწიფონი მოითმენდნენ ამ გამარჯვებას თუ არა. ადვილად შესაძლებელი იქნებოდა, რომ იგივე სახელმწიფონი, რომელთაც ამ ორი თვის წინედ „ალბანელთის“ დასაცავად ხმა ამოიღეს, ალბანელებსვე შესეოდნენ და ოსმალეთისათვის მხარი მიეცათ. ეჭვი არ არის, რომ როცა ალბანელები **აჯანყებას** იწყებდნენ, სხვათა სახელმწიფოთა იმედი ჰქონდათ, მაგრამ... წავიდა ის დრო, როდესაც განთავისუფლებაში ბერძნებს ინგლისი ეშველებოდა და ბოლგარელ-ჩერნოგორელებს რუსეთი. ევროპის სახელმწიფოთა ინტერესები მაშინ ამას მოითხოვდა, ეხლა კი სულ სხვაა, ეხლა არც ერთი სახელმწიფო არ მიეშველება იმ დაჩაგრულ ერს, რომელსაც თითონ არაფერს გამორჩება...

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

მკითხველებმა იცინან, რომ განათლების მინისტრის კასოს განკარგულებამ, რომლის ძალითაც პეტერბურგის ქალთა უმაღლეს საექიმო კურსებიდან 1173 ქალი დაითხოვეს, რუსეთში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია და გაზეთები აალაპარაკა. სხვათა შორის ორი გაზეთი დააჯარიმეს. ამის გამო „უტრო როსსიი“ სწერს:

რუსეთის გაზეთებისადმი ხელ-ახლად მოიხმარეს ის ჩვეულებრივი საშუალება სასჯელისა, რომელიც რუსეთში „წარმომადგენლობითი წყობილების“ დამყარების შემდეგ ჩვეულებად იქცა.

„უტრო როსიი“-სა და „რუსკ. ვედ-“-ის რედაქტორები თითო 50 თუმნით დააჯარიმეს.

ორივე გაზეთი იმიტომ დაისაჯა, რომ მათ განათლების მინისტრის განკარგულების შესახებ წერილები დაბეჭდეს.

მართალია, ყრუ აბსოლუტიზმის დროს, როდესაც ევროპიულ კონსტიტუციონალიზმის ქროლვა არ მიჰკარებ-

ბოდა, მინისტრები კასოზენაკლებ იმპუ-ლსიერობას არ იჩენდნენ, პირიქით, ეს იმპულსიერობა უფრო ფართე, უფრო სახელმწიფოებრივი იყო და მაშინდელ მინისტრთა მოქმედება საზოგადოებისა და გაზეთების პროტესტსა და კრიტიკას იწვევდა, მაგრამ ეს „რეფორმის წინადრეოინდელი“ მინისტრები (ერთი მათგანი რუსულ გაზეთებს კარგად ახსოვთ) გაზეთებს თავის მოქმედების კრიტიკის უფლებას აძლევდნენ, სტოიკურად ისმენდნენ ამ კრიტიკას და მას არავითარ ადმინისტრატულ წესებით არ აწყლულებდნენ.

ბ. კასსო ისეთი სტოიკი არ არის. იგი ავადმყოფსავით მგრძნობიარეა, როცა მის მოქმედების შეფასებას საზოგადოება შეუდგება ხოლმე, მეტადრე როცა ეს შეფასება გაზეთის სვეტებზე გადადის.

ამ მგრძნობიერების მეოხებით, იძულებულნი ვართ ეზოპის დაიწყებულ ენას ნიმართოთ, იმ ენას, რომელიც მოლაპარაკეს იფარავდა, ხოლო მსმენელს კი ფანტაზიას უორკეცებდა. ეს ენა მკითხველსა და პუბლიცისტს აკავშირებს. ორივე იძულებულნი არიან თავისებურად გაიგონ და ახსნან ყოველივე დაუმთავრებელი სიტყვა, ყოველივე დაუმთავრებელი აზრი...

ესეთი ენა იმ დროს იყო, როდესაც კასოზე უფრო მეტად სტოიკნი ჰმოქმედებდნენ და იძულებულნი იყვნენ რომის აკლდამების კედლებზე „თვეზი“ დაეწერათ და ეს სიტყვა „ქრისტედ“ წაეკითხნათ.

თავისუფალ აზრს აკლდამებში ჰმარხავენ.

მაგრამ თავისუფალი აზრი არ მოკვდება“.

* * *

ამურის რკინის გზის შესახებ ამას წინად დიდი ალიაქოთი ასტყდა. პრესა, მიუხედავად მიმართულებისა, აცხადებდა გულის წყრომას იმ სასტიკობისათვის, რომელსაც სრულიად უმიზნოდ და უმიზეზოდ იჩენდნენ ზედამხედველნი. გზათა სამინისტრომ კი გამოაცხადა, ყოველივე სასურველ ნიადაგზეა დაყენებული, მაგრამ გზათა მინისტრმა მაინც გადასწყვიტა თითონ ინახულოს და გაეცნოს გზის ვითარება. მინისტრს თან მხოლოდ სულ ახლად დანიშნული ინჟინრები წაუყვანია. ამის შესახებ გაზ. „რეჩი“ სწერს:

... „უინჟინერებოდ, იქნებიან ესენი ძველები თუ ახლები, მინისტრი არ ივარგებს. ბ. რუხლოვი არ არის სპეციალისტი და თითონ ტეხნიურ საკითხებში ვერაფერს გახდება. მაგრამ მინისტრის სასინარულოდ ახლა ტეხნიურ საკითხებს მხოლოდ სხვათა შორის აქცევენ ყურადღებას. ფლოტის განახლების საქმეშიაც აკი ტეხნიკამ ადგილი დაუთმო პოლიტიკას, და გზათა სამინისტროში კი „დიდი ხანია ნაციონალიზაციის „იდეამ დაიჭირა უპირატესობა; ამის სამსახურს კი ტეხნიკის უცოდინრობა ხომ ვერ შეაფერხებს და ბ. რუხლოვსაც არაფერს უშლის არა სპეციალისტობა. ამ ნაციონალიზაციის ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ ნიკოლოზის რკინის გზის ზედამხედველის საიდუმლო მოწერილება ქვეშევრდომებთან, რომ ისინი არ ასრულებენ მის ბრძანებას ვაუმჯობესებლად. იგი თითონ შინაურად უბრძანებს მათ, არა რუსები სამსახურში არ მიიღონ, ესენი კი მთხოვნელებს ეუბნებიან მიუღებლობის მიზეზს. იგი ამას ორნაირი უტაქტობას უწოდებს არა რუსთა მიმართ და თვით მთავრობის მიმართაც.... მაგრამ, ნუთუ ნაციონალიზმის გამჟღავნება უტაქტობაა?... ასეთ პირობებში მინისტრის მოგზაურობა არაფერს მოიტანს გარდა უკმაყოფილებისა და უწესოებისა თვით უწყებაში“.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲒᲐᲠᲘ

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘ

◆ დასრულდა რძის მრეწველთა **საერთაშორისო კონგრესი**, რომელიც მოწვეული იყო შვეიცარიის საატახტო ქალაქ სტოკჰოლმში. რუსეთიდან რძის მრეწველობის უფროს სპეციალისტის ბ. ავეტის ქალანთარის მეთაურობით კონგრესზე ბევრი წარმომადგენელი იყო. ბ. ავეტის ქალანთარს შვეიცარის მეფესთან ხანგრძლივი საუბარი ჰქონია, მრეწველობის ამ დარგის განვითარებისათვის ასეთ კონგრესების მნიშვნელობის თაობაზე. მეფეს თურმე ძლიერ აინტერესებდა ეს საკითხი და ის აზრი გამოუთქვამს, რომ რუსეთისა და შვეიცარიის ერთი მეორის დახმარებით რძის მრეწველობა ძლიერ წინ წავალ. აქავე გადაწყვეტილა, რომ შემდეგი კონგრესი რუსეთში მოიწვიონ.

◆ **ხმოსანთა არჩევნები.** ქალაქის საბჭოს ხმოსანთა ამომრჩევლების სიის შემომწმებელ კომისიაში აღიძრა საკითხი იმის შესახებ, რომ ქალაქის ხმოსანთა რიცხვში ერთი ან ორი ებრაელიც აირჩიონ. კომისიამ ქალაქის მდივანს მ. ა. ჯაბარს დაავალა, წარუდგინოს მას ტფილისელ ებრაელთა სია საკითხის საბოლოოდ გადასაწყვეტად.

◆ **ქალაქის წყალსადენის ზედამხედველს** ინჟ. ქურდიანს კაკაბეთის სოფლის საზოგადოებამ ამ სოფელში განზრ ხულ წყალსადენის პროექტისა და ხარჯთ-აღრიცხვის შედგენა სთხოვა.

◆ **ტფ. სამასწავლებლო ინსტიტუტის მოსწავლეთა ექსკურსია,** რომელიც ევროპის რუსეთშია, ტფილისში 5 აგვისტოს დაბრუნდება.

◆ **ქალაქის სახანიტარო კომისიამ** გუშინ ქალაქის მე-12 უბანში დაწვრილებით დაათვალიერა ხილეულობის დუქნები. კომისიამ ამ უბანში 400 ცალამდე უვარგისი საზამთრო აღმოაჩინა.

◆ **მართლ - მადიდებლობიდან გადადგომა.** „საეკლესიო უწყების“ ცნობებით, უკანასკნელ ხუთის წლის განმავლობაში, რუსეთში მართლ-მადიდებლობიდან გადამდგარა 800,000 კაცი.

◆ **ეპისკოპოსი პიმენი** ბათომი-საკენ გაემგზავრა, სადაც ექსარხოსს ინახულებს.

◆ **ეიმნაზიელ ქამაროვის გატაცების საქმის გამოძიება** დასრულდა. ამ საქმის გამო დაპატიმრებულთაგან ამ დღეებში ექვსი კაცი გაანთავისუფლეს.

◆ როგორც სარატოვიდან დეპეშით იუწყებიან, აქ 18 ივლისს საკატორღო ციხეში გარდაცვლილა ახალგაზდა, ჯან-ღონით სავსე **ივანე მარკოზის ძე კალანდაძე.**

ᲛᲫᲘᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

◆ 26 ივლისს ტფილისში შეეპყრეს კონსტანტინე ვახტანგის ძე მასხვიდაძე და კარაპეტ სერგეს ძე გასპარიანი, რომელიც ადმინისტრატიულის წესით გადასასმენებულნი იყვნენ და თავის ნებით დაბრუნდნენ.

ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲙᲠᲔᲓᲘᲢᲘ

◆ დღეს, 28 ივლისს, კავკასიის საიმპერატორო სასოფლო სამეურნეო საზოგადოების დარბაზში (ალექსანდრეს ბაღი) საღამოს 8 საათზე **დანიშნულია მორიგი კრება ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოსი.** განსახილველია მორიგი საქმები.

◆ **ახალქალაქის საურთიერთო კრედიტის საზოგადოების** წესდება ფინანსთა მინისტრა უკვე დაამტკიცა.

ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲒᲖᲐᲖᲔ

◆ „მშაკს“ ბაქოდან ატყობინებენ, რომ აგვისტოს დამდეგს **ევლახ-შუშას შუა ვიწრო ლიანდაგის** გასასუფთავებლად ნებართვას ეძიებენ. სამინისტროდან, როგორც ეტყვით, ამ ამ საქმის მოთავე ბატონი მრეწველი მ. სარგსიანია, რომლის ანგარიშით გზის გასუფთავება 3,050,000 მან. დაჯდება.

◆ **სად. ტფილისი.** 25 ივლისს, ვარჯიშობის დროს, სამი დატვირთული ვაგონი ლიანდაგიდან გადავარდა და დაზიანდა. უბედურება არ მომხდარა.

◆ **ტფილისის მთავარ** სახელოსნოს ზეინკალს ანტონ ნოვიკოვს, ოთხქლმავალის (№ 584) შეკეთების დროს, ფეხი დაუსხლტა და გადმოვარდა. მარცხენა ფეხი ოთხქმავალის ბაქანს მოარტყა და ძლიერ დაიშავა. დაშავებული რკინის გზის საავადმყოფოში გაგზავნეს.

◆ **ხად. წიფა.** საბარგო მატარებელის № 120 ოთხქლმავალს ჰახრაკები გატყდა და 161 ვერსზე შეჩერდა. იძულებულნი გახდნენ მატარებელი ისევ სადგურში წამოეყვანათ.

ᲮᲝᲯᲔᲑᲗᲐ ᲪᲮᲝᲛᲠᲔᲑᲐ

◆ ტფილისის სომეხ გრიგორიანთა ეპარქიის უფროსის მოადგილე **ეპისკოპოსი ეფრემი** დასასვენებლად მცირე ხნით სანაინში გაემგზავრა.

◆ ამის წინედ სომხის სამეურნეო საზოგადოებამ **ავგონომი ა. ათანასიანი** ერევნის გუბერნიაში გაგზავნა და დააკალა, რომ გარში ხორბლის ნიმუში შეეგროვებინა. იგი უკვე დაბრუნებულა და ბევრი ნიმუშიც ჩამოუტანია. ამ დღეებში ბ. ათანასიანი ამავე გუბერნიის მთაგორიან ადგილებში გაემგზავრება, სადაც მხოლოდ ეხლა იწყება მკა. ამ მოგზაურობამ გამოარკვია, რომ წელს ეჩმიაძინისა და ერევნის მაზრებში მოსავალი კარგია, ნახიჩევნისაში კი მცირე.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ

◆ მომავალ ენკენისთვიდან **ქუთაისში ხალომერციო კურსები გაიხსნება.** ამ კურსების პროგრამა რამდენიმედ აღემატება უმაღლეს საკომერციო სასწავლებლის პროგრამას. სხვა საგანთა შორის განსაკუთრებული ყურადღება საქონლის ცნობასა და (товаровѣдѣніе) ცოდნას ენება მიქცეული, საპოლიტეხნიკო ინსტიტუტის პროგრამის სივრცით. საქონლის წარმოებაში მაცადინეობისთვის მოწყობილი იქნება მუზეუმი რუსეთისა და კავკასიაში დამზადებული საქონლისა. კურსების პროგრამაში შედის იტალიური ორმაგი ბუღჰალტერია, ფუსული სამმაგი და მარტივი კომერციული ანგარიში, კომერციული გეოგრაფია, მიწერ-მოწერა, საქონლის წარმოება, კომერციული ისტორია და უცხო ენები (ფრანგული სავალდებულოა), საწერ-მანქანაზე მუშაობა და სტენოგრაფია.

კურსებზე მიიღებენ, ქალ-ვაჟს არა ნაკლებ 16 წლისას. მეცადინეობა საღამოობით იქნება.

ამავე კურსებთან მოაწყობენ ქუთაისის გუბერნიაში საკომერციო განათლების გამავრცელებელ საზოგადოებას.

კურსების თაოსნობა უმთავრესად ეკუთვნის ადგილობრივ საურთიერთო ნდობის საზოგადოების დირექტორს ბ-ნ რ. ყ. დათეშიძეს და ვოლგა-კამის ბანკ-ს დირექტორს კირაკოსიანს.

◆ **ნ. ი. ნიკოლაძე** დიდ საქმეს ჰკიდებს ხელსა, ხოლო მას გადაჭრით უარი უთქვამს ფოთის ქალაქის მოურავობისა ფოთელ დეპუტაციისათვის. როგორც ქალაქის მოურავ-ს, მოსამსახურე პირს, მას არ შეუძლიან კერძო საქმისთვის იმ ბანკის კრედიტით ისარგებლოს, რომელი ბანკიც ფოთის სესხს ანადდებს. ეს ბანკი ერთ მილიონის კრედიტს აძლევს ნ. ი. ნიკოლაძეს ღვინის წარმოების მოსაწყობად ქ. ქუთაისში. ოთხასი ათასი მანეთი სარდაფის მოსაწყობად გადაიდება. მცოდნე პირს სასარდაფე ადგილად არქიეპის ეზორა აურჩევია, სარდაფს აქ გამოსჭრიან. ექვსასი ათასი მანეთიც სხვა საჭიროებას მოხმარდება და უმთავრესად კი ტკბილის ყიდვას. სარდაფი ევროპულად იქნება მოწყობილი, რომ ჩვენებური ღვინოს გამძლეობა მისცეს და რუსეთისა და ევროპის ბაზარიც მოუპოვოს.

◆ ქუთაისზე ავტომობილით გაიარეს **გერმანელმა მოგზაურებმა.** აქედან ოდიშისაკენ წავლენ, გაივლიან სოხუმს, მერე რუსეთსა და სპარსეთს მოივლიან.

◆ რედაქციამ მიიღო შემდეგი წერილი: „თანახმად დეკანოზის ერ. კანდელაკის მოწოდებისა, გიგზავნით სამ მანეთ-ნახევარს გახსენებულ **ფილიმონ ქორიძის** ფონდისათვის, მისი შრომის გამოსაცემად: მღვდელი ტიმოთე კაპანაძე—ორი მან., მღვდელი სერაპიონ ცაგარეიშვილი—ერთი მან., მღვდელი ტარასი ძიგრაშვილი 50 კაპ.

◆ ამ დღეებში აბასთუმნიდან ქუთ. ქართული გიმნაზიის **მოწაფეთა ექსკურსია დაბრუნდა.** ამ ექსკურსიამ დათვალიერა: ლეჩხუმი, სვანეთი, ზესხვის და ლაფურის მთებით გადავიდა რაჭაში. ამ მთებზე ნახეს ენგურისა, ცხენის წყლისა და რიონის სათავე. დათვალიერეს ზემო რაჭა და შქმერის მთით გადავიდნენ საჩხერეში. ჭიათურიდან წავიდნენ სურამს, ქვიშხეთს, ბორჯომს და ბაკურიანში; ჭნახეს ცხრა წყაროზე მზის ამოსვლა და დაბრუნდნენ ისევ ბორჯომში. იქიდან ამასთუმნამდე აეტომობილით წავიდნენ, აბასთუმნიდან ქუთაისსს კი ფეხით ჩამოვიდნენ.

მოწაფეებს სრულიად არ ეტყობათ დაღლილობა და ყველა ჯანმთელადაა. ფეხით ხუთას ვერსზე მეტი გაუვლიათ.

◆ **ქუთაისში ჩამოვ და** მიწადმოქმედების სამინისტროს რწმუნებული არქიპოვი, რომელსაც თან ახლავს მეურნე ი. ქუთათელაძე. რწმუნებულმა რევიზია უნდა გაუკეთოს ხსენებულ სამინისტროს ქვემდებარე დაწესებულებათ.

ᲑᲐᲗᲝᲛᲘ

◆ ინჟინერმა სუშჩევსკიმ ქალაქის გამგეობას ქალაქის ელექტრონის სადგურის სატეხნიკო კომისიის დადგენილება წარუდგინა დ. ი. ანდრეევის თხოვნის თაობაზე, ბ. ანდრეევი თხოულობს მიეცეს მას ორთქლის ქვაბებისათვის საჭირო შენობების აგება იმ ფასად, რომელიც გამოანგარიშებული აქვს ინჟინერ სუხომლინოვს და რომელიც ქალაქის გამგეობის მიერ მოწონებულია, დაჯდება 3472 მანეთად. ამ მუშაობას იგი 1 სექტემბრისთვის დაამთავრებს.

◆ წარსულ 1910 წლის განმალობაში, ქალაქის საავთომყოფოში წოლილა 324 უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომი.

◆ ქალაქის აგენტი ი. სიხარულიძე ატყობინებს ქალ. გამგეობას, რომ ნებადაურთველად გაუღიათ ყავახანა და საჩაიები მუსარეით ბაგირ ოდლის და ისმაილ ნასირ-ოღლისა, ქულიო-ოღლის კი სასადილო.

◆ აქციზის მოხელეები კონტრაბანდად დაპერილ თუთუნს სწვავენ ქალაქის საავადმყოფოს მახლობლად.

ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲘ

◆ **ეკლესიის ეზოში.** ბ. ალ. ბ. ... ...

ბანეთის ცხვარი წაურთმევიათ და ეიმალდუდან.

✦ სოფელი ოლგინსკი (ტფილისის მაზრა). უცნობ ბოროტგამზრახველთ ხანძრით ცოტოხცევის აგარაკს სროლა აუტეხეს და მიიმალნენ. არავინ არ დაჭრილა. ემეი აქაურ გლეხებზე მიიტანეს.

✦ სოფ. მოხისი (გორის მაზრა). ნიკოლოზ ტურაშვილმა თავისი შვილობილი ნინო ლაკიშაშვილი, მისის განცხადებით, შემთხვევით მოჰკლა. ეტვობენ, რომ ეს ბოროტმოქმედება განზრახ ჩაიდინაო.

ჟურნალისტის დღიური

36.

მოსალოდნელი წერილი.

გუშინ ჩემს დღიურში ყაჩაღებს შეეხეე და სხვათა შორის ისიცა ვსთქვი, რომ „გოლოს კავკაზა“ ჩვეულებრივად ყაჩაღების გავრცელების მიზეზად იმასაცა სთვლის, რომ ადგილობრივი მცოვრებნი ვითომ დახმარებას უწევენ ყაჩაღებსო. მართლაც, გუშინდელ ნომერშივე „გოლოს კავკაზა“-ს მეთაური სწორედ ამ საკითხს ეხება. იგი ერთხელ კიდევ იმეორებს იმ ყოვლად დაუსაბუთებელ აზრს, რომ ადგილობრივი მცოვრებნი ყაჩაღების მოქმედებას ხელს აფარებენო. მაგრამ ეს კიდევ არაფერი. ასეთი წერილი მოალოდნელი იყო. წინდაწინვე შეეტლებოდა გვეთქვა, რომ „გოლოს კავკაზა“ სწორედ ასეთს გზას აირჩევდა. ამას ხომ იმდენად ყაჩაღების მოსპობა არ აინტერესებს, რამდენადაც გაზვიადება ფაქტებისა. ეს გაზვიადება კი საჭიროა იმისთვის, რომ დაამტკიცოს აუცილებლობა განსაკუთრებულ, არაჩვეულებრივ ზომებისა. აი, ყური დაუგდოთ, რასა სწერს „გოლოს კავკაზა“:

„ტფილისს ეხლანდელმა გუბერნატორმა, ჩაიბარა თუ არა გუბერნია, მისწერა თავის ხელ-ქვეითებს, ყაჩაღებთან ბრძოლის დროს მიჰმართეთ მხოლოდ ჩვეულებრივ ზომებსაო. მაგრამ მალე თვით გუბერნატორმა თავი დაანება ამ სახელმძღვანელო თვალსაზრისს“...

ეს კი იმიტომ მომხდარა, რომ თვითფაქტებს იძულებული გაუხდიათ გუბენატორი არა-ჩვეულებრივ ზომებისთვის მიემართა. აქედან, რა თქმა უნდა, „გოლოს კავკაზა“-ს დასკვნა გამოჰყავს, რომ აუცილებლად საჭიროა არამც თუ ყველგან მოიხსნას სამხედრო წესები, არამედ შემოღებულ იქმნას იქაც კი, სადაც მოხსნილია.

სამხედრო წესების შემოღება, გენერალ-გუბერნატორების დანიშვნა, მაზრებში ჯარის გზავნა, — აი ის ზომები, რომელთა შემოღებაც საჭიროდ მიაჩნია „გოლოს კავკაზა“-ს ყაჩაღების ასალგამავად. მერე რა მოხდა ისეთი განაო, იკითხავს მკითხველი. აჯანყდა ვინმე, ომი გამოუცხადა ვინმემ, თუ რა ამბავია? თქვენც არ მოიკვდეთ. მხოლოდ რამდენიმე თავზე ხელ-აღებული ყაჩაღი დათარეშობს დუშეთის მაზრაში! არ ამათ დასაჭერად ყოფილა საჭირო განსაკუთრებული ზომები, გენერალ გუბერნატორები და ბატალიონები! რა სასაცილოა, ფრიად სამწუხარო რომ არ იყოს!

გუშინაც ვამბობდი და ეხლაც ვიტყვი, რომ ამ თავზე ხელ-აღებულ ყაჩაღების ასალგამავად არავითარ განსაკუთრებულ ზომების მიღება არ არის საჭირო. საკმარისია სამაზრო პოლიციამ ენერგიულად მოჰკიდოს ხელი საქმესა და განაგრძოს ყაჩაღების დევნა არა ერთსა და ორს დღეს, არამედ ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივად.

შინაური.

თავ. ილ. ჭავჭავაძის ძეგლის დასადგმელ თანხისათვის მილეგული შეწირულება

დაბა სამტრედიაში ექ. რ. ნანეიშვილისაგან შეკრებილი 34 მანეთი და 80 კაპ., ქართ. შორის წ. კ. გ. ს. გადასაცემად.

შემწირველთა სია:

1. ერუსლან არდიშვილი 2 მ. 10 კ., 2. მიხეილ ქორქაშვილი 2 მ., 3. ვარლამ ასათიანი 1 მან., 4. ელისეი კალანდაძე 1 მან. 50 კაპ., 5. გიორგი სიხარულიძე 5 მან., 6. ექიმი სოლომონ წერეთელი 3 მან., 7. გრიშა ურუშაძე 1 მან., 8. ვარდენ ყიფიანი 1 მან., 9. მღვდელი ეპიფანე კანდელაკი 50 კაპ., 10. ზენონ ფიალკოვსკი 1 მან., 11. დავით კვანტალიანი 2 მან., 12. სტუდ. აკაკი პაპავა—1 მან. 10 კ., 13. ექიმი რ. ნანეიშვილი 5 მან., 14. გიორგი შაშიაშვილი 1 მან., 15. ნანობაშვილი 50 კაპ., 16. კილაძე 30 კაპ., 17. სურგულაძე 30 კაპ., 18. ზედგინიძე 50 კაპ. 19 მარიამ გვარამაძისა 1 მან., 20. ისიდორე სტურუა 5 მან.

სულ 34 მ. 80 კ.

რედაქციამ ეს ფული მიიღო და დანიშნულებისამებრ გადასცა.

ვახტანგ VI-ის კანონმდებლობის ახალი ხელთნაწერი

სოფ. ნახუნაოს მცხოვრებ თ-დ ნიკოლოზ მანუჩარის ძე ფალავასაგან ერთი ფრიად ყურადსაღები ხელთნაწერი მივიღე. ეს არის ვახტანგ სჯულმდებლის კანონები, გადაწერილი გრიგოლ მიქელაძის ხელით 1802 წელს, რასაც ხელნაწერის უკანასკნელ გვერდის წარწერა ამოწმებს:

„ღმერთო აცხოვნე დამწერი განსრულდა და დაიწერა წიგნი ესე სასამართლო ძალითა და შეწევნითა ღვთისათა ხელითა ულირსის მიქელაძე გრიგოლისათა ქრისტეს აქეთ ჩყბ თვესა აგვისტოს იბ დღესა სამშაბათს“.

ხელნაწერი 164 გვერდია. პირველ მეოთხედში რამდენიმე გვერდი აკლია. დანაკლისი სხვა ხელითაა მიწერილი ბოლოში.

ეს წიგნი მეტად ძვირფასია და გვიკვირს რატომ არ არის დღემდის გამოცემული ქართულად. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ რუსული გამოცემა ვახტანგის კანონებისა არსებობს უკვე კარგა ხანია (გამოც. 1887 წელს ბაქრაძის რედაქციით). მით უფრო საჭიროა ამ წიგნის ქართულად გამოცემა, რომ მშვენიერის და ფრიად გასაგები ენითაა ნაწერი. ბევრი საგულისხმო ტერმინი მოიპოვება შიგა. სრულიად გამოცემა თუ დიდ ხარჯს მოითხოვს, მოკლე ხელნაწერის გამოცემაც შეიძლება. არა ერთხელ თქმულა და დაწერილა, ვისაც ქართულის საფუძვლიანი შესწავლა უნდა, ქართულ დაბადებასა და ძველ ხელნაწერებს უნდა მიჰმართოსო. მაგრამ უმრავლესობისათვის ჩვენი ხელნაწერებით სარგებლობა ყოვლად შეუძლებელია. როცა დაიბეჭდება კი, მკითხველიც მეტი გამოუჩნდება. უკანასკნელი 2 წლის გამომცემლობას რომ ყურადღება მივაქციოთ, დავინახავთ, რომ ქართულ წიგნის მკითხველთა რიცხვმა იმატა. საჭიროა ეს მოვლენა შესაფერისი საზრდოს მიწოდებით სწორს გზაზე დავაყენოთ.

დღეს ამ აზრის განხორციელება ადვილია. ქ. შ. წ. კითხვის საზოგადოებას აქვს უკვე 21 ხელნაწერი ვახტანგის კანონებისა. ქართულ საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებასაც ჰქონია რამდენიმე ცალი. ყოველ შემთხვევაში, სანამ ბეჭდვას შეუდგებოდნენ, კარგი იქნება გაზეთების საშუალებით გამოაცხადებდნენ და სთხოვდნენ თუ კიდევ აქვს ვისმე სხვა ხელნაწერი, თუ ვერ დასთმობს, დროებით მაინც ათხოვოს სარედაქციო კომისიას. დარწმუნებული ვარ—ასეთი ცდა ნაყოფს მოიტანს.

ამ ხელთნაწერს შემთხვევით წავაწყდი. ზოგჯერ ისეთ ადგილას და ისეთ პირთან წააწყდები შესანიშნავ რამეს, სადაც სრულიად არ ელი.

აღნიშნული ხელთნაწერი საისტ.-საეთნ. საზ. წევრს ალ. სარაჯიშვილს გადავეცი.

აკაკი ფალავა.

მოზღვრილი ამბები

ბეჟეთ-უბანი (შორაპნის მაზრა). შურის მასსავლს გერ დაგემდურებიო. სიმინდისა კი ჭრელია: ნაადრევად ნათესი რომელიც ცოტა, გვარიანი მოსავალი იქნება, ნაგვიანები კი მოსავლიანობის მხრივ საეჭვოა, რადგან ამ ბოლო დროსაც გვალვამ ბასრი კბილი გაჭრა. ძველ ვაზს თითქმის სულ არ ასხია, ნამუნი კი კარგია, მაგრამ ფითოთ საჩვენებელია აქა იქ.

ამ თვის პირველ რიცხვებში აქეთ ბრძანდებოდა სახელმწიფო სათათბიროს წევრი ბ. კეკეჭუორი, რომელმაც ინახულა სადაო მთა „დიდ ვაკე“ თავად გ. ამილახვრის და ს. ს. ნდიდის და დეისის მცხოვრებლებდან შორის. ამ თვეში დათვალიერა მრხეინებული სადაო მთა ადგილობრივმა ბოქაულმა ბ. კაკუამ და რაკორცა ჭსთქვეს, კმაყოფილი დაბრუნებულა, რადგან არავითარი საწინააღმდეგო ჩადენილი საქმე მცხოვრებლებისაკენ არ უნახავს, რასაც მათ სწამებდა თურმე ამილახვარი.

ეს ჩვენი კუთხე ბევრ რაშეია ეუარადების დარსი. ავიდოთ თუნდ ძველი ნაშთები ეკლესიისა მონასტრების და ციხე კოშკებისა, ისეთი ტეე და სოფელი არ არის, რომ არ მოიხსენებოდეს. ბუნების სიმდიდრე ხომ აუწერელია, რაკორც მცენარეულობით ისე მინერალური წყლებით, სავსეა მთა და ბარი. დიდ სარგებლობას შესძენს ჩვენ ქვეყანას, რომ ვინმე „ბუნების მეტეველი“ იკადრებდეს და ეწვეოდეს აქაურ მხარეს.

ქართველელ-იმერელი.

ს. შინდისი (გორის მაზრა). აქ ეხლა გახურებული მკა. ვანები ძალიან არის მომცდარი, ისე რომ მოსავალი ხარჯს ვერა ჭევარავს, მიზეზად იმას ასახელებენ, რომ მიწა „გაცვდაო“.

შინდისში სამყოფად არის ხიდის ბადები, რაც კი ხიდს იძღევა და ამიტომ ახლო მომავალში სოფლის მინდორი სულ ბადებად იქცევა. წრეულს კი ხიდიც მომცდარია, რადგან ზამთრის სუსხმა დიდხანს გასტანა. სიცივეს გამო ბევრს ვენახებიც წაუხდა. სხვა სოფლებში მოსავალს არა უჭირს-რა.

შინდისი მოზრდილი სოფელია (260-ს კომლამდეა), აქვს ერთი სამრეკლო სოფლა, სამკითხველოს მოთხოვნილებაც არის; ამიტომ ადგილობრივმა სტენის მოყვარეებმა ბიბლიოთეკის დასარსებლად 17 მკითხველს წარმოდგენა გაუმართავს, ხალხი ბედმად დასწრო, მეტადრე სხვა სოფლებიდან. ხალხი შემოსავალი დარჩა 22 მ. კრეებით.

წარმოდგენის კამეა მადლობას უძღვნის **გარეშე** სახზოგადოებას, რომელმ თავისი თანაგრძნობით ხელი შეუწყო სიმპატიურ საქმის დაწყებას.

23 მკითხველს შესდგა კრება სამკითხველოს დარსების მოსურნეთაგან; ითრეიენ მოსაწყობად და წეგრების მოსაგრებად კომეგობა; დაწესეს წლიური საწევრო ფული.

შინდისშივე არსებობდა კოოპერატიული დუქანი, მაგრამ ზოგიერთების შემწეობით დიშალა და საქმე გუფოაზე მიდგა.

სოფლელი.

სპარსეთის ამბები

დეპეშები.

26 მკითხველ.

ასტრაბადი. დიდი ბრძოლის შემდეგ სარდარ-ასადის თურქმენთა რაზმმა დაგმანი ივრიშით აიღო. დაგმანი თეირანიდან ახლოა. დაგმანს იცავდა მთავრობის ჯარი, რომელსაც სათავეში მასუდ-ულ-ულკი ედგა. მასუდისა და სარდარ-ასადის ჯარი რიცხვით თანასწორნი იყვნენ, მხოლოდ მასუდის ჯარს უკეთესი იარაღი ჰქონდა. ეს ერთი დიდი გამარჯვებაა მაჰმედ-ალისს. ამ გამარჯვებამ მისი მომხრეები ალაფრთოვანა.

ლონდონი. რეიტერი თეირანიდან იტყობინება, სკოტი იმიტომ მიიწვიეს სპარსელებმა, რომ იგი ერთად ერთი განათლებული მხედარია, რომელიც ეხლა სპარსეთში იმყოფებაო.

პეტერბურგი. პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოს გაუგია, რომ ამას წინედ რუსეთისა და ინგლისის მიერ სპარსეთისადმი წარდგენილი განცხადება რუსეთ-ინგლისის იმ გადაწყვეტილებას ეხებოდა, რომლის ძალითაც ეს ორი სახელმწიფო სპარსეთის საქმეებში ჩარევას არ აპირებდა. ეს გადაწყვეტილება იმაზე იყო დამყარებული, რომ ძველი შაჰის და ახალ მთავრობის ბრძოლა, სპარსეთის შინაური საქმედ იქცა. ამავე დროს ორივე სახელმწიფომ სპარსეთის მთავრობას უფლება მისცა ძველი შაჰის პენსიის მოსპობისა.

ამის გარდა რუსეთის მთავრობამ უპასუხა სპარსეთისას, რომელმაც ამას წინედ რუსეთს ნოტა გადასცა; ამ ნოტით სპარსეთი რუსეთს აბრალებდა, არავითარი დონე არ ილონა ძველი შაჰის ინტრიგების მოსასპობლადაო და მის სპარსეთს დაბრუნებას ხელი არ შეუშალაო. ამიტომ სპარსეთის მთავრობამ რუსეთს შეუთვალა, არ გადავიხედით იმ ზარალს, რომელიც რუსეთის ქვეშევრდომთ მიადგებათ ამ არეულობის დროსაო. ამაზე რუსეთის მთავრობამ უპასუხა სპარსეთისას, რომ მან მაჰმედ-ალი რამდენჯერმე გააბრთხილა, არა მარტო მაშინ, როდესაც ნაშაჰარი ოდესაში იმყოფებოდა, არამედ მისი საზღვარ-გარედ ყოფნის დროსაც. რაკი სპარსეთის მთავრობის განცხადება ფაქტებით არ დამტკიცდა, ამიტომ უნდა დარწმუნებულნი ვიყვეთ, რომ მაჰმედ-ალის სასარგებლოდ აგიტაციას მისგან დამოუკიდებლივ ეწეოდნენ. ამ აგიტაციასთან ბრძოლის მოვალეობა, უწინარეს ყოვლისა, სპარსეთს ედვა კისრად, მაგრამ მან ამ მხრით არავითარი ზომა იხმარა და არც საკმარისი ენერგია გამოიჩინა, თუმცა ეტყობა, იგი შაჰის დაბრუნებას თურქესტანის მინდვრების მხრიდან ელოდა. 1910 წლის შემოდგომიდან ძველი შაჰი საზღვარ-გარედ სცხოვრობდა და რუსეთის მთავრობას შეძლება არა ჰქონდა მისთვის თვალ-ყური ედევნებინა. რუსეთი მან ერთბაშად გაიარა და ისიც ჩუმად.

შემდეგ რუსეთის ნოტაში ნათქვამია, რომ სპარსეთის მთავრობა ორი წლის განმავლობაში ქვეყნის დამშვიდებასა და წესიერებას არა სცდილობდა. სამინისტროთა მუდმივი კრიზისები, პარტიათა წვრილმანური ბრძოლა, თითქმის უნაყოფო მოქმედება მეჯლისისა, რასაკვირველია, ძველ შაჰს სამოქმედოდ ნიადაგს მოუმზადებდა. რუსეთის მთავრობამ, ყველა აქ ჩამოთვლილ მიზეზის მიხედვით, შეუძლებელად სცნო, რომ სპარსეთის მთავრობას ზარალის ანაზღაურება არ მოსთხოვოს და მუდამ პასუხის მგებელი იქნება ამისთანა საქმისა.

ბრძოლა.

ქერმანშაჰთან სალარ-დოულეს ჯარსა და ბახტიარების რაზმს, რომელიც 4000 კაცისაგან შესდგებოდა, ბრძოლა მოუხდათ.

სპარსეთის ბაზინა.

მთავრობა სახელმწიფოს დაცვისთვის ბევრს ფულსა ჰხარჯავს. ხაზინა ცარიელდება. ამან სახელმწიფო ძვირფასეულობის გაყიდვის ლაპარაკი გამოიწვია.

ენდარმერია.

ინგლისელი სკოტი, რომელიც ჰანდარმერიის უფროსად დაინიშნა, მოქმედებას უკვე შეუდგა და ენდარმერიას აწყობს. ეს ძალა ჯერ-ჯერობით მაჰმედ-ალის წინააღმდეგ იქნება მიმართული.

გაზეთი „Times“-ი ამბობს, რომ რუსეთი მართალია, როცა ინგლისელ სკოტის დანიშვნას პროტესტს უცხადებსო, მაგრამ ინგლისი ამ საქმეში უძლურია. ერთად-ერთი რამ, რაც ინგლისს შეუძლიან ამ შემთხვევაში მოიქმედოს, სკოტის სამსახურიდან გადაყენებაა. სკოტი უკვე გადადგა სამსახურიდან.

მოაზად-ულ-მულკი.

დეატუსაღეს მოაზად-ულ-მულკი. იგი დეპუტატია, მეჯლისის თავმჯდომარის ამხანაგად ნამყოფი, ზომიერთა პარტიის მეთაური და საპეხდარის კაბინეთში მინისტრის ამხანად იყო. ჩხრეკის დროს, მას საბუთები უპოვეს, ამ საბუთებით დამტკიცდა, რომ იგი მაჰმედ-ალის თანამოაზრე ყოფილა. სამხედრო სასამართლოში, როდესაც მოახდეს ასამართლებდნენ, აღმოჩნდა, რომ უმრავლესობა მისი პარტიის წევრებისაგან შესდგებოდა და გამართლებას უპირებდა. დემოკრატებმა მოახერხეს და განაჩენი არ დააწერინეს.

ეფრემი.

პოლიციამ აღმოაჩინა ეფრემის სამტრო შეთქმულება, შეთქმულებს მისი ყუმბარით მოკვლა უნდოდათ.

მეჯლისი.

მიუხედავად კრიტიკულ მდგომარეობისა, მეჯლისი საარჩევნო რეფორმის განხილვას შეუდგა, ერთმა დეპუტატ-რეაქციონერმა სიცილისათვისა სთქვა: სპარსელ ქალებს საარჩევნო უფლება მივცეთო. დემოკრატები გაჩუმდნენ. ერთმა დეპუტატმა მოლამ შეჰყვირა:

სპარსეთის პარლამენტში ამის ლაპარაკი შეუძლებელიაო.

გვცა ჩვენ შესანიშნავი ფილოსოფოსები, მეცნიერნი, მხატვარნი, მოქანდაკენი, კომპოზიტორები და სხვა თუ არა ეკონომიურად და სოციალურად ძლიერმა და დაწინაურებულებმა? აბა, დაგვისახელეთ შესანიშნავი მეცნიერნი, ფილოსოფოსნი, მხატვარნი და სხ. უკულტურო და უძლურ სახელმწიფოებიდან? იტალიამ მხოლოდ მაშინ მოგვცა მიქელ ანჯელო, დ' ანუნციო და სხვა, როცა ის მთელ მსოფლიოს კულტურის ლამპარს წარმოადგენდა, ინგლისმა და საფრანგეთმა,— ამ უკანასკნელ ხანებში გერმანიამ— მაშინ მოგვცეს ძლიერნი მწერალნი, მეცნიერნი, მხატვარნი და ფილოსოფოსნი, როცა ისინი სოციალურად და ეკონომიურად დაწინაურდნენ. განა ამ სინამდვილეს კიდევ უნდა დღეს მტკიცება? განა თვით საქართველო ამასვე არ გვიმტკიცებს? განა შესანიშნავი შოთა რუსთაველი საქართველოს ოქროს ხანამ არ მოგვცა, ან თამარის მთელი ძლიერება საქართველოს ნივთიერ კეთილდღეობით არ უნდა აიხსნას? აბა, რა უნდა წარმოშვას ჩვენმა დღევანდელმა დაკნინებულმა, სოციალურად დაბეჩავებულმა და ეკონომიურად დაუძლურებულმა საქართველომ?

როდესაც ჩვენს ინტელექტუალურ ძალთა უძლურებაზე ვფიქრობთ და ვლაპარაკობთ, აქ პიროვნებაზე ლაპარაკი აშკარა უვიცობაა. თვით ცხოვრებაა სუსტი და რაღა თქმა უნდა სუსტი იქნება მისი ნაყოფიც. როგორ შეიძლება დასნეულებულ დედის დაავადმყოფებულმა საშომ-ჯან-საღი ბავშვი დაჰბადოს? ხორციელად გახრწნილი და სულიერად დავრდომილი, თავის მსგავსს შთამომავლობას წარმოშობს. ეს აქსიომატური ჭეშმარიტება ჩვენს მოსაყვედურეებს ხშირად ავიწყდებათ, კიდევ უფრო ავიწყდებათ იმ „კრიტიკოსებს“, რომელნიც ქართველ სტუდენტობას მოხელეობის მანიასა სწამებენ. სტუდენტები—უბრალო კანცელარიის მოხელეებად შედიან და ცხოვრებისათვის გამოუსადეგარნი ხდებიანო,—ეს მართალია, მაგრამ განა ამაში სტუდენტობას ბრალი აქვს? მიეცით სტუდენტობას—ამ ინტელექტუალურ წარმოების განმავითარებელ საუკეთესო წრეს—ნიჭის განსავითარებელი ასპარეზი—და თქვენ დაინახავთ, რომ სტუდენტობის დიდი უმრავლესობა ამ საზოგადო მოღვაწეობის ასპარეზზე გამოვა, ის სრულიად ჩამოშორდება კანცელარიებს და თავიას ნიჭითა და შრომით დიდებულ სახალხო კულტურას შეჰქმნის.

მაგრამ ჩვენი ცხოვრების სინამდვილე? სად უნდა წავიდეს ჩვენი კურს დამთავრებული ახალგაზდობა, თუ არა კანცელიარიების და კანტორების უბრალო მოხელეებად— რომ მიმშილით არ დაიხოცოს? განა აქვს ჩვენს დაბეჩავებულ ერს ისეთი საწარმოვო ასპარეზი — (როგორც წმინდა ეკონომიური, ისე ინტელექტუალური-სულიერი), რომ ჩვენმა ინტელექტუალურმა ძალებმა ინტელექტუალურ შრომის გაწევით იცხოვროს და თავისი ძალ-ღონით ხელი შეუწყოს მომავლის, დიად მომავლის დამყარებას? განა ჩვენი ერის ინტელექტუალურ ძალების დაუძლურების კლასიკური და ისტორიულ მაგალითს არ წარმოადგენს დაჩაჩანაკებულ ივროსტომაშვილის ხავს-მოკიდებული „სინათლე“?—უფრო შესაფერი იქნებოდა „სიბნელე“—თავის ღირს-შესანიშნავ განცხადებებით მწერალთა და მოღვაწეთა ჭონორარის თაობაზე?

ჩვენ ვამბობთ და ვამტკიცებთ: საქართველოს სტუდენტობა კანდება, ახრწნება თავისდა უნებურად. სტუდენტობა ვერ ახერხებს ისეთი როლი ითამაშოს დღევანდელ საქართველოს სოციალ-ეკონომიურ პირობებში—რომლის თამაში საზოგადოდ შეუძლიან. ქართველ სტუდენტობის (იგივე ითქმის ყოველ ერის სტუდენტობისა) სულიერად აღორძინება და მათი საზოგადოებრივობის ფრთების გაშლა შესაძლებელი მხოლოდ მაშინ გახდება, როდესაც ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება საერთოდ ზეზე წამოდგება, როცა მეურნეობა და მრეწველობა განვითარდება და ხალხს თავის კეთილდღეობის შესაქმნელად სოციალ-ეკონომიური ასპარეზი ეაეხსნება. იგივე ითქმის თეატრსა, ლიტერატურასა, ხელოვნებასა ან პოეზიაზე... ამნაირად, ჩვენი ინტელექტუალურ ძალთა დაბეჩავების საძირკველი საქართველოს სოციალ-ეკონომიურ ცხოვრების სიდუხჭირეში უნდა ვეძიოთ, აი, აქედან იწყება ჩვენი უძლურება და აქედანვე უნდა დაიწყოს ხალხმა ჩვენი სხეულის გაჯანმრთელება.

თუ გვინდა ხელი შეუწყოთ საზოგადოებრივ ცხოვრების წინსვლასა და განვითარებას, ხელი შეუწყოთ ჯანსაღ ინტელიგენციის წარმოშობას—ამ გონივრულ კულტურის მესვეურის—როგორც ინგლისის ცივილიზაციის ისტორიის შესანიშნავი ავტორი—ბოკლე იტყოდა—მაშინ ჩვენ სტუდენტებზე საყვედურებით და მწერლებისა თუ სხვა ინტელექტუალურ ძალების უძლურებაზე ტირილ-ვაებით როდი უნდა ვიწყებდეთ და ვათავებდეთ „მოღვაწეობას“—როგორც ეს ჩვენებს სჩვევიათ ხალმე.*)

არა, ნივთიერი და ზნეობრივი დახმარება ჩვენს ინტელიგენციას სრულიად არ უნდა მოაკლდეს (ჰაი, ჰაი, რომ მეტად მცირე და უმნიშვნელოა ეს დახმარებაც), ასეთი დახმარება უნდა გაღიდდეს და გაფართოვდეს, მაგრამ ეს თავი და თავი როდია, მწერლებისა და სხ. ინტელიგენტების კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად მიდგომაისი ერთგულნი ფონდიც რომ შესდგეს ჩვენი ტხოვრების კანკურნვას მაინც ვერ შესძლებს, შეიძლება ამ გარემოებამ ბევრი მოღვაწე-მუშაკიც გაამცონაროს და სულით დაკნინოს,—თავი და თავი მთელი ჩვენი ცხოვრების გარდაქმნაა, ჩვენი ცხოვრების ანატომიის—როგორც მარქსი იტყვის—ეკონომიის განვითარებაა. საჭიროა, რომ ჩვენმა ცხოვრებამ საერთო კრიზისს თავი დააღწიოს, გაძლიერდეს, დაწინაურდეს ისე, რომ თავის წიალითგან წარმოშვას მრავლისაგან მრავალი ახალი მოთხოვნილებანი, გაადიდოს და გაავითაროს არსებული მოთხოვნილებანი და აი, ასეთ ფეხზარდ ცხოვრების ზედაპირზე, სხვა და სხვა მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად და მუშაობაში გართული ჩვენი ინტელიგენციაც გამოჩნდება შარავანდედის სხივით შემკული, უმწიკვლო და სპეტაკი, როგორც მთის ბროლი.

მაგ ნუ ხართ მკაცრნი ჩვენს ინტელექტუალურ ძალთა წინაშე. ჩვენი ინტელიგენცია ისეთია, როგორც თვით ჩვენი საზოგადოება. საზოგადოება ამ ინტელიგენციის სხეულია, ის (ინტელიგენცია) კი ამ სხეულის—სული, იდეის მატარებელი—იდეოლოგი. დე ამაღლდეს ყოველი თქვენგანი, გასპეტაკდეს სულით, გულით, გრძნობით, მთელის ცხოვრებით, და ასეთივე იქნება თქვენი სული—ინტელიგენციაც. აქ გესლი და საყვედური—უსაფუძვლოა და მეტად მავნებელიც. პირიქით, თუ გვინდა, რომ უკეთეს მომავალს ხელი ჩავსჭიდოთ და გავაუმჯობესოთ ჩვენი ცხოვრების ყოველი მხარე, საჭიროა საერთო ძალა, საერთო საქმიანობა, თანხმობა და ერთსულოვან გატაცებით ჩვენი ცხოვრების ძირ-ფესვიანად შეცვლა გარდაქმნა. შევსწიროთ ამ უკანასკნელ საქმეს ჩვენი ძალი და ღონი, დიდი თუ მცირე საშუალებები, ჩვენი ცოდნა და გამოცდილება, სიყვარული და თანგრძნობა—და ეს იქნება შესანიშნავი, ნამდვილი, უტყუარი თავდები ჩვენი ინტელექტუალურ ძალების გამძლავრებისა, ამაღლებისა, განვითარებისა.

მაგრამ განა უკბილო საყვედურს მოიშლის ჩვენი საზოგადოება?!

დე, ჩემი პესიმიზმი ამ ხალხს გაექარწყლებოს!!.. **თევდ. დდონტა.**

*) ჩვენ არ ვართ ერთ მხრივ გატაგებისა და იხეთი ოპტიმიზტი—როგორიც ზოგიერთებს შეიძლება გეგონოს. საქართველოანი კრიტიკა ყველა ძალების სახურველი და სასარგებლოა, მაგრამ ვაი რომ ასეთ კრიტიკას ჩვენს პრესაში ნაკლებად გხვდებოთ!

უცხოეთი

შორეულ აღმოსავლეთი.

პეკინიდან იტყობინებიან: ოფიციოზურ და კერძო გაზეთებში ყოველ დღე იბეჭდება ცნობები, რომ პრიამურის მხარეში რუსები ჯარს ამრავლებენო. ამას წინედ ერთი გაზეთი სწერდა, რუსეთი პრიამურში ჯარს იმიტომ აგროვებს, რომ 1881 წლის ხელ-შეკრულების თავის სასარგებლოდ შეცვლა უნდაო. გაზეთი ეკვშია, თუ ჩინეთი რუსებს ზოგიერთი მუხლების არ დაუთმობს, რუსეთი თავისას ძალით გაიტანსო.

გაზეთების მოსწონთ ჩინეთის მთავრობის განკარგულება ჯარის მანჯუოიაში გადაყვანის შესახებ. გაზეთები ამბობენ, სწორედ ეხლაა საჭირო ჩინეთისათვის მანჯურიაში დიდი ჯარის ყოლაო.

ამ დღეებში თანამდებობიდან გადადგა იაპონიის სამინისტრო. პრემიერმა კატცურამ, იმპერატორს თხოვნა რომ მიართვა, ურჩია პრემიერად საიონჯი დანიშნეო. ყველა დარწმუნებულია, რომ პრემიერობა საიონჯის ერგება. დანარჩენი მინისტრებს „სეიუკაის“ პარტიის წევრებში აირჩევენ. ეს პარტია მომხრეა იაპონიის საზღვაო ძლიერებისა და მშვიდ ოკეანეზე განუყოფელ ბატონობისა. გარეშე საქმეთა მინისტრად იაპონიის პეტერბურგელ ელჩს მოტონოს ასახელებენ.

ჩინეთის ქერიმე დედოფლის ბრძანებით, ასტრონომების მიერ არჩეულ ბედნიერ დღეს, პატარა იმპერატორის სწავლებას შეუდგებიან. მასწავლებლებად გამოჩენილი რეაქციონერები ინიშნებიან. მომავალ იმპერატორს არ ასწავლიან ევროპულ ენებს. სწავლას საფუძვლად დაედება კონფუცის მორალი და „ხალხის მმართველობის სიბრძნე“.

დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

26 მკათათვე.

საზღვარ-გარედ.

სტამბოლი. ბედუინთა შეიხი აბდულ-ქერიმს 1000 მეჩოჩით მდ. ტიგროზე გადაყვიდა და რამდენიმე კვირაზე ხომადდი დიენგირა. მასთან საბრძოლველად ორი ბატალიონი გაიგზავნა.

მადისორები ჩრნოგორიიდან სამშობლოში ბრუნდებიან.

მინისტრთა საბჭომ განიხილა იმ მადისორთა მდგომარეობა, რომელნიც ტეზასთან სდგანან და ოსმალეთის ჯარი არტეოთ და დადგინა არავითარი შედეგთი არ მისცეს, განიხილა აგრეთვე დანარჩენ ადგილთა თხოვნა, რომ ის, რაც მადისორებს მიეცათ, მთელ ადგილთა მიეცეს, ამისაც უარი სთქვა.

ბერლინი. ოფიციალურად დადასტურეს ცნობა ბრემენში ერთი ინგლისელის დატუსაღებისა. ამ ინგლისელს ჯაშუშობას აბრალებენ.

სტამბოლი. კაზეთები ამბობენ, ვითომც სამინისტროში შემდგარიყოს უთანხმოება, რომელიც თანახმა მთელ ადგილთა იგივე შეხედვითი მისცეს, რაც მადისორებმა მიიღესო.

ვენა. კაზ. „ფატერლანდი“ მოწინავე წერილში მწუხარებას აცხადებს, რომ ადგილთა ჯანუებამ ბალკანეთის პოლიტიკა შესცვალოს. აქ ბირველი რიგი ითამაშა რუსეთმა, რომელზედაც ეფიქრობდნენ, რომ ბალკანეთზე კვლენა დაეკარგოს. ეხლა კი ავსტრო-უნგრეთმა მესამე-მეოთხე ადგილი დაიკავა ბალკანეთზე, ჩრნოგორიამაც კი გაუსწრო მასაო. საკვირველი იყო რომ ავსტროუნგრეთს თავის დროზე სახელგანთქმული დიპლომატია რუსეთის კვლენისა თავისაო.

რუსეთი.

კიევი. სახაზინო კაზეთა მთავარ კომეტეტა უფასოდ გადაეცემა ბელგორიდში იოანოვის ნაშთის წმინდანად დამტკიცებაზე დასასწრებლად.

ტომსკი. ჩამოვიდა გზათა მინისტრი.

სამხედრო სასამართლომ ჩამოხრჩობა მიუსაჯა ბრიმინსკის, რომელსაც ბრალდებოდა სოფლისტა მატარებელზე თავდასხმა 1907 წ.

სადგურ ტელეშაში შეამჩნიეს, რომ №-21 მატარებლის სამ ვაგონს კედლები ჭქონდა კამომტვრეული. სინჯვის დროს იქიდან კვამხტენენ მძარცველები და სროდით მიიმალნენ.

ოდესა. ნაპოდიდან ჩამოსულ ინგლისის კემზე მოჭკვდა მატროსი ხადერით. ხუთი დღით კემი სატდელად დაჭერილია.

თეატრი და ხელოვნება

23 ამა ივლისს, ქ. **დუშეთში**, ადგილობრივ სცენის მოყვარეთა მიერ, წლეულს ქართულ გიმნაზიაში ჯერს დამთავრებულ გ. ჯ-ძის სასარგებლოდ, რომელიც ახლო მომავალში სწავლის გასაგრძელებლად რუსეთში მიემგზავრება, წარმოდგენილ იქმნა გ. გულისაშვილის 5 მოქმ. დრამა „დრონი მეფობენ“. წარმოდგენამ საერთოდ რიგიანად ჩაიარა; თუ მივიღებთ მხედველობაში ადგილობრივ სცენის სიღარიბეს და მოუწყობლობას, აგრეთვე ადგილობრივ საზოგადოების გულ-გრილობას ყოველივე საზოგადო საქმისადმი, ჩვენ მხოლოდ ქებით შეგვიძლიან სცენის მოყვარეთა მოხსენება, რომელთაც ფრიად დიდი შრომა და მეცადინეობა სჭირდებათ წარმოდგენების მოსაგვარებლად და რომელთა შორის, როგორც დაგვანახვა ამ წარმოდგენამ და აგრეთვე წინა წლებისამ, საკმარისად ნიჭიერი ახალგაზრდანი ურევიან.

ამერ-ამერი.

—

გორი. დღეს, ხუთშაბათს, გორში გაიმართება ქართული წარმოდგენა ქართ. სცენის მსახიობის გ. არადელიშხელის მეთაურობით. წარმოდგენილი იქნება ლეონიდ ანდრეევის ცნობილი პიესა „დღენი ჩვენის ცხოვრებისა“.

წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

გთხოვთ მოათავსოთ „სახალხო გაზეთში“ შემდეგი: ბ-ნმა კონს. კვანტალიანმა სამედიატორო სამართალში გამოიწვია სამტრედიის მცხოვრები, საადგილო მიღებიის პატრონი ნესტორ კიკაჩეიშვილი, რომელმაც პირველის შესახებ მეტად ცუდი ხმები გაავრცელა. ბ-ნმა კვანტალიანმა თავის მხრივ მედიატორებად ჩვენ დაგვასახელა, რაზედაც ორთავემ თანხმობა განვაცხადეთ. ერთი კვირის შემდეგ „სახ. გაზ.“-ში ვკითხულობთ, რომ ბ-ნი ნ. კიკაჩეიშვილი თანახმაა გამოჰყვეს სამედიატორო სამართალში კვანტალიანს და თავ-ს მხრივ ასახელებს ბ-ნ ალ. კანდელაკსა და ვ. ვაშაკიძეს.

ამის შემდეგ წინადადება მივეცით ბ-ნ კიკაჩეიშვილს ეთხოვა თავის მედიატორებისათვის მოსვლა დანიშნულ დროზე, გასაზღვრულ ადგილას. ჩვენცა და ბ-ნი კვანტალიანიც ხახა-გამშრალი დავრჩით, რადგან არც მოპირდაპირემ და არც მისმა მედიატორებმა მოსვლა არ ინებეს.

მას შემდეგ ბ-ნ კიკაჩეიშვილს ორჯერ მივეცით წინადადება გამოეგზავნა თავისი მედიატორები კრებაზე, მაგრამ ორივეჯერ მოტყუილებული დავრჩით.

საკვირველია—თუ დასახელებულ პირთ მედიატორობა იკისრეს, რატომ ერთხელ მაინც არ გვეჩვენენ და თუ მათ თანხმობა არ გამოუცხადებიათ, ბ-ნმა კიკაჩეიშვილმა რა უფლებით გამოაქვეყნა მათი გვარი გაზეთის საშუალებით. ყოველ შემთხვევაში ბ-ნ ნესტორ კიკაჩეიშვილს უნდა სცოდნოდა, რომ თუ ვისმეზე ასეთ სიტყვებს წამოისვრიდა და ამ სიტყვას ცილის წამებად მიიჩნევდნენ, საკმაო საბუთებით უნდა ნათელ ეყო თავისი დებულება, თორემ ეს ხომ არა საკადრისი საქციელია; ალბათ ჰქვიან: „სთქვა და გაიქცა“-ო. ასეთ საქციელს ჩვენ ვგმობთ და წინადადებას ვაძლევთ ბ-ნ კვანტალიანს—კიკაჩეიშვილის მიერ წამოყენებულ ბრალდებას ნუ მიაქცევს ყურადღებას, როგორც უსაფუძვლოსა და წინდაუხედავს.

მედიატორები (**აკაკი პაპავა.**
(**გიორგი ჯავახიშვილი.**

—

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ადგილი დაუთმოთ ამ წერილს. თქვენ გაზეთის მე-312 ნომერში იყო მოთავსებული დავ. გაბრუაშვილის წერილი, ვითომც პირველ პარიკმახერთა არტელისაგან, შვიდი წევრის გასვლის მიზეზი ყოფილიყოს შემდეგი.

პირველი, ვითომც საქმეს ეზარალნოს და საქმეთა მწარმოებელ წევრებს გამოერიცხოს თვითეულ წევრებისაგან 105 მან. მეორეც, ვითომც სათადარიგო თანხაში არ აღმოჩენილიყოს 800 მან. და სხვა.

1910 წელს საქმის ვითარება ასეთი იყო: პარიკმახერთა არტელმა მეორე გაყოფილება გააღო, რომელიც წინად ს. მაჩხანელს ეკუთვნოდა. მასთან მომუშავე ხუთი ქარგალიც არტელის წევრად ჩაირიცხნენ.

ერთი წლის წარმოებისა და წლიურ ანგარიშის შემდეგ, არტელის წევრთა უმეტესობამ საჭიროდ სცნო განყოფილების დახურვა. საპარიკმახეროს ისევ ს. მაჩხანელს დაუბრუნდა, რის მიზეზითაც ხუთმა მასთან ნამყოფმა ქარგლებმა ს. მაჩხანელთან დარჩენა ისურვეს, რის გამოც არტელიდან გამოირიცხნენ. თითონ დ. გაბრუაშვილი კი დათხოვნილი იქმნა.

არტელის წევრობანი.

—

ბატონო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ, ამ ჩვენს წერილს ადგული დაუთმოთ თქვენს პატივცემულ გაზეთში.

ქ. ქუთაისში, ზოგიერთ ვაჭრებსა და ნოქრებს შორის, ხმა გავრცელდა ვითომ ჩვენ რამდენიმე ვაჭრებთან ერთად, გვეთხოვოს ბ. ქუთაისის გუბერნატორისთვის, ახლად დამტკიცებულ სავალდებულო დადგენილების დარღვევა და ნაცვლად 7 საათისა, საღამოს 8 საათზე დაკეტვა. ეს ცილის წამებაა, ვინაიდან ჩვენ პირ-იქით დიდად მოხარულიც ვიყავით და დღესაც მომზრე ვართ, რომ სავაჭროები იღებოდეს დილის 7 საათზე და იკეტებოდეს საღამოს შვიდზე, თანახმად სავალდებულო დადგენილებისა.

ცხადია, კარგად ვერ გაუგიათ, სამდვილად ვინ მიჰმართა ასეთის თხოვნით გუბერნატორს.

ქ. ქუთაისში მოვაჭრეები: **მიხეილ ჭავჭანიძე და მიხეილ კახუმოვი.**

გამოსადეგი ცნობა

პეტერბურგის ბირჟა

27 ივლისი.

(ნაჩვენებია განაღდების ფასები).

ხარგებლიან ქაღალდების ფასები:

4% სახ. რენტა	93¾
5% გირ. ფ. ს.-აზ. სახ. ს.-მამ. ბანკ.	96
4% „ „ „ „ „ .	91
3½% „ „ „ „ „ .	85⅛
5% გირ. ფურც. ტფ. ნათ.-აზ. ბანკ.	86
4½% „ „ „ „ „ .	—
5% „ „ ქუთ. მიწ. თ.-აზ. ბანკ.	—
5% ოზლიგაც. ტფ. ქალაქ. საკ. საზ.	—
4½% „ „ „ „ .	—
5% I მომგებ. ბილეთ.	474½
5% II „ „	368
5% III „ „	325½

ტფილისის ბირჟა

სანოვაგისა და ჭირნახულის მაზანდა:

მატყლი თუშური	7 მ. 80 კ.	8 მ.
ბამბა ქუთათური		—
აბრეშ. ბარკი ქუთათ. და ადგილ.		15-16 „
ჭიათ. შავი-ქვა (ჩვეულებრივი		—
(გარეგნილი		—
ყვავილ ქართული	7 მ. 40 კ.	8 მ.
თხილი ზაქათალისა		—
ღვინო კახური	3 მ. 50 კ.	
მაქარი (თავისა	5 მ. 25 კ.	5 მ. 30 კ.
(ფშვიერი	4 მ. 60 კ.	
ზეთი ბალი		—
ქერი თეთრი		—
ხიმინდი		—

მატარებელთა საზაფხულო მიმოსვლა.

დრო პეტერბურგის საათითაა ნაჩვენები, რომელიც ადგილობრივ საათზე 58 წუთითაა უკან).

ტფილისიდან გადის:

1) **ბათუმისაკენ:** N I—III კლ. ჩქარი მატ. საღ. 10 ს. 10 ხუთზე. გორში ჩადის ღამ. 12 ს. 8 წ., მიწაილოვში ღამ. 1 ს. 12 წ. რიონში დილ. 5 ს. ბათუმში დილ. 8. ს. 45 წ.

2) **საფოსტო მატარ.** N 3. I—III კლას. გადის დილ. 9 ს. 44 წ., გორში ჩადის 12 ს. 27 წ. მიწაილოვში ნამუადღ. 2 ს. 1 წ., რიონში 6 ს. 35 წ., ბათუმში ღამ. 11 ს.37წ.

3) **სახალხო მატ.** დღის 4 ს. 17 წ. გორში ჩადის 6 ს. 55 წ., მიწაილოვში 8 ს. 29 წ., რიონში 12 ს. 46 წ., ბათუმში დილ. 5 ს. 23 წ.

4) **ფეხიანი მატ.** № 107, მეოთხ. კლასით, გადის საღ. 9 ს. 5 წ., გორში ჩადის ღამ. 1 ს. 20 წ., მიწაილოვში ღამე 3 ს. 43 წ., რიონში დილ. 9 ს. 48 წ., ბათუმში დილ. 5 ს. 6 წ.

ბაქოსაკენ: 1) **სამგზავრო** N 6. I—II. კლ. გადის დღის 2 ს. 56 წ., **განჯაში** ჩადის 8 ს. 59 წ., ბალახანაში 6 ს. 38 წ., ბაქოში დილ. 7 ს. 15 წ.

2) **საფოსტო მატ.** N 4, I—III კლ. დილ. 1 ს. 38 წ., **განჯაში** 5 ს. 39 წ., **ბაქოში** 1 ს. 44 წ.

3) **ჩქარი მატ.** № 2. I—III კლ. გადის 8 ს. 40 წ.დილ., **განჯაში** იქნება ნამუადღ. 1 ს. 44 წ., ბალახანაში საღ. 10 ს. 2 წ., ბაქოში საღ. 10 ს. 35 წ.

ფეხიანი მატ. N 106, მე-4 კლასით, დილის 4 ს. 17 წ., **განჯაში** იქნება შუადღ. 12 ს. 28 წ., ბალახანაში 3 ს. 35 წ., ბაქოში ღამ. 4 ს. 46 წ.

ბორჯომისაკენ: 1) **სახალხო** მატარებ. I—III კლ. N 7—8, გადის დილ. 7 ს. 20 წ., ბორჯომში ჩადის შუადღ. 12 ს. 40 წ.

2) **სახალხო** მატ. № 9—10, I—III კლას. გადის ნამუადღ. 2 ს. 2 წ. ბორჯომში ჩადის საღ. 7 ს. 30 წ.

ჯულფასა და ერევნისაკენ:

1) **საფოსტო** მატ. N 74—75, I—III კლას. გადის ღამ. 12 ს. 2 წ. **ჯულფაში** ჩადის ღამ. 11 ს. 48 წ.

2) **სამგზავრო და საქონლ.** N 78—79, II—III კლ. გადის ნამუადღ. 4 ს. 50 წუთ. ერევანში ჩადის დილის 10 ს. 12 წ.

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: ჩქარი მარარ. პლატბ. N 1 I—III კლ. საღ. 9 ს. 26 წ. **სამგზავრო** N 5. I—III კლ. დღ. 3 ს. 27 წ. **საფოსტო** N 3. I—III კლ. დილ. 8 ს. 54 წ., **ნარეკი** N 107. მე-4 კლასით საღ. 8 ს. 7 წ.

ბათუმიდან: **სამგზავრო** N 6, I—III კლ. ნამ ადღ. 1 ს. 56 წ., **საფოსტო** N 4, საღ. 10 ს. 42 წ., ჩქარი N 2, დილ. 7 ს. 54 წ. ნარეკი მე-4 კლასით N 106, დილ. 3 ს. 19 წ.

ჯულფიდან: **საფ.** N 72—73, დილ. 6 ს. 40 წ., **სამგზავრო** და **საქ.** N 80—81, II—III კლ. შუადღ. 12 ს. 28 წ.

ერევნიდან: **სახალ.** შუადღ. 12 ს. 28 წ

ბორჯომიდან: **სამგზავრო** N 7—8, დილ. 6 ს. 20 წ., **სამგზ.** N 9—10, საღ. 8 ს. 30 წ

ქუთაისიდან გადის:

ტფილისისაკენ: **სახალხო** 5 ს. 15 წ. დილით., **საფოსტო** 2 ს. 3 წ. დღით. ჩქარი 1 ს. 00 წ. ღამით.

ბათუმისაკენ: **სახალხო** 1 ს. 00 წ. ღამ. **საფოსტო** 6 ს. 52 წ. საღ., ჩქარი 5 ს. 15 წ. ღამით.

ფოთისაკენ: **სახალ.** 1 ს. 00 წ. ღამ. **საფოსტო** 6 ს. 52 წ. **საღ.**, ჩქარი 5 ს. 15 წ., ღამ., **სახალხო** 4 ს. 22 წ. დღით.

შორაპნისაკენ: **სახ.** 5 ს. 6 წ. **სადამ.**

ტყიბულისაკენ: **სახ.** 3 ს. 28 წ. დღით. **სახ.-ხაქ.** 7 ს. 50 წ. დილით.

ქუთაისს მოდის:

ტფილისიდან: **სახ.** 2 ს. 25 წ. ღამ., **საფ.** 8 ს. 20 წ. **საღ.**, ჩქარი 7 ს. 14 წ. დილით. **ბათუმიდან:** **სახ.** 7 ს. 14 წ. **დილ.**, **საფ.** 3 ს. 25 წ. **დღ.**, ჩქარი 2 ს. 25 წ.

ფოთიდან: **სახალ.** 7 ს. 14 წ. **დღ.**, **საფ.** 3 ს. 25 წ. **დღ.**, **სახ.** 10 ს. 21 წ. **დილით**

შორაპნიდან: **სახალხო** 9 ს. 49 წ. **დილ.**

ტყიბულიდან: **სახ.** 11 ს. 12 წ. **დილით.** **სახალხო-ხაქ.** 6 ს. 46 წ. **საღამოს.**

ტფილისიდან მცხეთაში:

სახალხო მატ. N 77, I—III კლ. გადის ნამუადღ. 2 ს. 43 წ., **მცხეთაში** მიდის 4ამ, 3 ს. 26 წ.

სახ. მატ. № 77, I—III კლ. გადის **დილ.** 8 ს., **მცხეთაში** მიდის **დილის** 8 ს. 43 წ.

მცხეთიდან ტფილისში:

სახ. მატ. N 76, I—III კლ. გამოდის 12 ს. 11 წ., **ტფილ.** ჩამოდის 12 ს. 50 წ., **სახალ ხო** მატარ. N 76, **გამოდის** **საღ.** 6 ს. 51 წ. **ტფილისში** **მოდის** **საღ.** 7 ს. 30 წ.

შენიშვნები: 1) **გადაუჯდომლად** **პირდაპირი** **მგზავრობა** **ტფილის-ბაქო-როტოვამდე** **მეიძლება** **განსაკუთრებულ** **გაგონებით**, **რომელიც** **ამიერ-კავკასიის** I **და** **მე-2** **მატარებელს** **მიხდეგს**, **ხოლო** **კავკასიის** **მატ.** **მე-5** **და** **მე-6**. **ყველა** **ვაგონები** **პლაცკარტიანია** (**საკუთარ.** **სახელითა**).

2) 15 **მაისიდან** **შეიძლება** **პირდაპირ** **გადაუჯდომლად** **მგზავრობა** **ტფილის-ბაქოგისლავოდხამდე**, **საერთაშორისო-სამილო** **ვაგონებით** **და** **ამიერ-კავკასიის** **NN** 1—2, **კავკასიის** **გზის** N 5—6.

3) 1) **მაისიდან** **მიმოდიან** **ბაკურიანის** **ლიანდაგზე** **სამგზავრო** № 76—77, **მცხეთისა** **ბაკურიანის**.

4) **ფეხიანი** **სახალხო** **მატ.** **მე-IV** **კლ.** N 106 **და** 107, **ბაქოსა** **და** **ბათუმს** **შუა** **საჭიროების** **მიხედვით** **იქნება**.

განცხადებანი

მუზრანის კერძო

სამკურნალო

ბანანა

მუდმივის საწოლებით.

Тифлисъ—Песковская ул., 9. и 48 Цициановскаго подъема, противъ новаго (Мухранскаго) моста. Телефонъ N 370.

ავადმყოფებს ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები მიიღებენ.

ატენიანცი ნ. ა. ყურ., ცხვ., ყელისა 10—11 საათამდე.

ნ. ვ. ახპახოვი—(მედ. ექ.), ყურისა ცხვირ. და ყელის სნეულ. 11—12 საათ.

გ. ა. ახვერდოვი—(მედიც. ექ.), ათაშანგ., ვენერიულ და კანის სნეულ. 1 ნახ. 2 ნახევარ საათამდე.

ა. ა. გაზაზოვი—შინაგან სნეულებანი დილის 10—11 საათ.

ტ. ი. გეორგ-ბეგიანი—(მედ. ექ.), თვალის სნეულ. (ორშ., ოთხშ. და პარასკევობით), დილ. 8 ნახ. 9 ნახ. საათ.

კ. ა. ლონიეკი—ბავშვთა სნეულ. (სამშ. ხუთშ. და შაბ.) 1 ნახ. 2 საათამდე.

ა. ი. გრიგორიანი—ქირურგიულ სნეულ. დილ. 11—12 საათ.

ი. გ. კიდამკარიანი—დედათა სნეულ. 1—2 საათამდე.

ა. ი. კატანიან—(მედ. ექ.), შინაგან სნეულ. 12—1 ს.

ბ. დ. კილოსანიძე—ქირურგ. სნეულ. (სამშ., ხუთშ. და პარასკ.) 12 ნახ. 1 ს.

გ. ა. მელკონიანი—ქირურგ. სნეულ. 5—6 ს.

ტ. ნ. ტერ-ნერსესიანი—ქირურგ. სნეულ. (ორშ., ოთხშ., შაბ.), 1 ნახ.—2 ს.

ათაშანგის წამლობა ერლიხ-ხატას პრეპარატით (**Ehrlich-Hata „606“-ით**).

დარიგების ფასი—50 კ. სტაციონალური ექიმობისთვის 3—5 მანეთამდე, ოპერაციები, შეხვევა, კონსულტაცია და სხვ. მორიგებით.

სამკურნალოს გამგე ექ. **ა. ი. გრიგორიანი.** № 646. 100—50) 0—103—112)

მზოგიერთათვის

თავშესაფარი

ბებია-ქალის

თუხარელისა.

ოლგას ქ., ხაბეიდ ინსტიტ. პირდაპირ შობიარენი და ფეხმძიმე ქალები მიიღებიან ყოველ დროს დღეცა და ღამეც. არის საერთო საწოლი, ცალკე ოთახები და ოთახი საიდუმლოდ მომსვლელთათვის.

მიღება ქალის ავადმყოფობით სნეულთა, ძიძების გასინჯვა, ყვავილის აცრა და მასსაკი ყოველ-დღე დილის 6—7-დან ნაშუადღევის 12 ს.

(თ.—1083—67)

ქ. თელავში

ისყიდება პირველად გამოსული ქართულ ენაზე

ქრა-კერვის

წიგნი

თვით-ძალწავლეტელი, 128 ნახატით.

ნასალი შეთხდი.

ექვს ნაწილად; ქართული, იმერული, ევროპიული ტანისამოსი და თეთრეული მანდილოსანთათვის და ბავშვთათვის; აგრეთვე ეურნალების მოხმარება. შედგენილი და გამოცემული

სოფიო ი. სიმონოვის მიერ.

ფასი ყდით 3 მ., გაგზავნით 3 მ. 50 კ. ვინც ათ ცალს ანუ მეტს ერთად დაიბარებს, ფოსტით გაგზავნის ფული არ გადახდება. გამოწერა შეიძლება ფასდადებითაც. ადერესი: **Въ г. Телавъ, „Школа кройки и шитья Софіи Іосифовны Симоновой.** Бульв. пер. 2. собс. домъ.

(100—1140—56)

ტფილისის ქალაქის

გამგეობა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ სამშაბათს, **6 სექტემბერს**, ნაშუადღევის 1 საათზე, გამგეობის საკრებულოში

იჯარით გაიცემა

ქალაქის სათბი, სახნავი ღა საბალახე 1) ავლაბარსა და 2) ნავთლულში მდებარე მიწებისა.

პირობების შეტყობა შეიძლება ყოველ დღე (კვირა-უქმის გარდა) გამგეობის კანცელარიის მეოთხე განყოფილებაში (საიჯარო მაგიდასთან).

(3—1416—1)

ე. ა. ცაცურიოვის დეპოზიტი

მიღებულია დიდ-ძალი

ახალ-ახალი

ოსეტრინა (ნუ-ნა) და სევრიუგა (ტარ-დანა).

ზიზილალა

ახალი (Зернистая).

პარკისა და კოლოფებით

საუკეთესო დოშები და ზურგიელები

მიღებულია ლვინის ორაგული (სიოგგა)

მივიღეთ საუკეთესო პაიხუნი ხიზილალა

გირვანქა 1 მ. 60 კ. 2 მ.-დან 2 მან. 40 კ.-დე.

ოთეელი ხიზილალა (Кетовая). 60 კ. ზირ.

და ბელა-რეგეც 50 კ.

აგრეთვე ნიკოლეთ-დიდი პარტია ყოველნაირი კონსერვები.

(ფ—1052—)

სალიანის თევზთ მრეწველ და მოვაჭრეთ

ძმ. ალეგველოვების

მაღაზია

პუშკინის ქ., საკუთარი სახლი № 9, ტელეფონი № 712,

ყოველ დღე განუწყვეტლივ მოდის

ახალ-ახალი

ოსეტრინა (ნუ-ნა) და სევრიუგა (ტარ-დანა).

ზიზილალა

ახალი (Зернистая).

პარკისა და კოლოფებით

საუკეთესო დოშები და ზურგიელები

მიღებულია ლვინის ორაგული (სიოგგა)

მივიღეთ საუკეთესო პაიხუნი ხიზილალა

გირვანქა 1 მ. 60 კ. 2 მ.-დან 2 მან. 40 კ.-დე.

ოთეელი ხიზილალა (Кетовая). 60 კ. ზირ.

და ბელა-რეგეც 50 კ.

აგრეთვე ნიკოლეთ-დიდი პარტია ყოველნაირი კონსერვები.

(ფ—1052—)

სტამბა „სოლაპანი“ მიდათოვის კუნძული.

რედაქტორ-გამომცემელი ნ. კუკულიაშვილი.